ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

22 (10009) • 3 ivnisi • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

დავით ნარმანია ოზურგეთს სტუმრობდა

29 მაისს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა, დავით ნარმანიამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელ, კონსტანტინე შარაშენიძესთან ერთად ანასეული-ნარუჯა-ლაითურის გზა მოინახულა, რომლის რეაბილიტაციაც რამდენიმე დღეში დასრულდება.

სამუშაოები გამგებლის, კონსტანტინე შარაშენიძის ინიციატივით მიმდინარეობს და იგი ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრომ დააფინანსა.

ანასეული-ნარუჯა-ლათურის გზა ქობულეთის ავტობანს უნდა დაუკავშირდეს, რაც სამომავლოდ მუნიციპალიტეტსა და მის მოსახლეობას მეტ პერსპექტივას გაუჩენს.

კონსტანტინე შარაშენიძე დავით ნარმანიას სამუშაოების მიმდინარეობასა და რეაბილიტირებული გზის სამომავლო მნიშვნელობაზე ესაუბრა.

მინისტრმა ასევე მერია-ლაითურის დამაკავშირებელი ხიდი მონახულა, რომლის აღდგენაც ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ იგეგმება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

„ნაციონალური მოძრაობის“ საპროტესტო აქცია

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ოზურგეთშიც გამართა საპროტესტო აქცია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის მხარდასაჭერად.

„ნაციონალები“ გაზეთ „ალიონს“ არ დაუკავშირდნენ და მხოლოდ მწირი ინფორმაციით შემოვიფარგლებით. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მიმდებარედ, დაახლოებით ორმოცდაათამდე ადამიანი შეიკრიბა გურიის სამივე მუნიციპალიტეტიდან. აქციას უძღვებოდნენ პარლამენტარი გიგი წერეთელი და გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი, გუბერნატორის მოადგილე პაატა მანჯგალაძე, კახა ასკურავა(ლანჩხუთი), დიმიტრი კორიფაძე (ჩოხატაური)

აქცია დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა.

1 ივნისი მნიშვნელოვანი თარიღია, რადგან მთელი მსოფლიო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

ბავშვები ჩვენი მომავალია და უნდა ვიზრუნოთ მათი აღზრდა- განათლებისათვის, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ. გვესმის, რომ დღეს ყველა ბავშვს არა აქვს ცხოვრების სათანადო პირობები და ისინი შესაფერის გარემოში ვერ იზრდებიან, ვერ იღებენ განათლებას. სწორედ ამიტომაა ჩვენი პრიორიტეტი სოციალურად დაუცველ ოჯახებზე ზრუნვა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება.

ვულოცავ ბავშვებს ამ დღეს და ვუსურვებ უზრუნველ მომავალს, ცოდნა და განათლება ყოფილიყოს თქვენი ბედნიერად ცხოვრების საწინდარი.

კონსტანტინე შარაშენიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

„მოვუწოდებ კოალიციის ყველა სუბიექტს, დავსხდეთ ერთად და გადავწყვიტოთ როგორც საკადრო, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები“

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში „თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დიმიტრი კვერღელიძემ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციას ჟურნალისტები, პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

—დღეს მინდა ვისაუბრო 1 ოქტომბრიდან დღემდე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სამართლებრივ პროცესებზე და გავცე პასუხი ყველა იმ კითხვას, რაც საზოგადოებას ღიად და ფარულად აწუხებს. ცალსახად მინდა განვაცხადო, რომ როგორც კოალიციის წარმომადგენელი, ვემიჯნები ყველა იმ გადაწყვეტილებას, პროცესს, რომელიც არ არის მიღებული კოალიციური პრინციპით, იმ წესების დაცვით, რაც ბატონი ბიძინა ივანიშვილის და კოალიციაში შემავალი ყველა სუბიექტისათვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია.

მიმდინარე მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ მხრივ ოზურგეთში შემაშფოთებელი რეალობაა. ხალხს უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაუგროვდა. რომლის ადრესატები ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად კოალიციაში შემავალი სუბიექტებიც არიან. ხელისუფლების უზურპაციიდან, რისი ნიშნები ოზურგეთში უკვე მკვეთრად იკვეთება, დანაშაულობამდე ერთი ნაბიჯია. გულწრფელად რომ ვთქვათ, იგნორირებულია საჯაროობა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა და მათი ინტერესების დაცვა. ამის დასტურია არასწორი საკადრო პოლიტიკა. ბიუჯეტის ანატომია ისეა შედგენილი, რომ არანაირი მსგავსებაც კი არ აქვს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ ბიუჯეტთან, იგი ხალხზე არაა ორიენტირებული, რისი დასტურიც ლამის მისი ყოველდღიური ცვლილებებია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ოზურგეთი კონტექსტიდან ამოვარდა და იმ ცვლილების მიღმა დარჩა, რაც ახალი მთავრობის და ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიზანს წარმოადგენს.

ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც ვითომდა წარმოადგენს კოალიციას, ბიუჯეტის თემას თავის დროზე მიუდგა არასერიოზულად. მას არანაირად არ უნდა აეღო ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა, რადგან კოტე შარაშენიძე გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა 6 დეკემბერს, ბიუჯეტი განსახილველად შემოვიდა 10 დეკემბერს. არ არის სწორი, რომ თითქოსდა ბიძინა ივანიშვილი ერთ პარტიაზე აკეთებდეს ფსონს.

ისევე, როგორც ქვეყანაში მიმდინარეობს, ოზურგეთში მალე სამართლიანობის აღდგენის მეორე გადამწყვეტი ეტაპი დაიწყება, - ერთ-ერთი დაპირება,

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

3 ივნისი	4 ივნისი	5 ივნისი	6 ივნისი	7 ივნისი	8 ივნისი	9 ივნისი
მზე +18+27	მზე, ღრუბელი +15+27	მზე, ღრუბელი +14+23	მზე +16+27	წვიმა +18+27	წვიმა +14+21	წვიმა +15+22
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

ჩემო პატარებო! გილოცვთ ამ ღამაზ ღღესასწაულს. გისურვებთ ულრუბლო ცას, თქვენი ღამაზი ოცნებების ასრულებას, წარმატებებს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს.

დავით დარჩია

„ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე

გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას, წარმატებებს მომავალ ცხოვრებაში!

ლევან ნინიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე

გილოცავთ 1 ივნისს –ბავშვთა საერთაშორისო დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს!

მერაბ მჭავია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

„მოვუწოდებ კოალიციის ყველა სუბიექტს, დავსხდეთ ერთად და გადავწყვიტოთ როგორც საკადრო, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები“

რაც ჩვენ მოსახლეობას არჩევნების პროცესში მივეცით. პროცესების პოლიტიკური შეფასება, რომ თითქოს ეს პოლიტიკური დევნაა, ან შერჩევითი სამართალი მიმდინარეობს, მგონი, „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა აღარავინ აღარ ამბობს, თუმცა დასაწყისში, როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, ძალიან ბევრ უცხოელს ჰქონდა მსგავსი დამოკიდებულება და ეჭვები - ამერიკელებსაც და ევროპელებსაც.

6 თვის განმავლობაში ახალ მთავრობასთან დამოკიდებულება ძირეულად შეიცვალა, მათ დაინახეს რეალურად ჩვენი სახე. ამას ნაწილობრივ დაეხმარა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ვიზიტები ევროპაში...და ეს უკვე ამ პროცესს შეუქცევადს გახდის. ნურავის ნუ ექნება იმის განცდა, რომ ვინმე დაუსჯელი დარჩება ვინც ახალი მთავრობის ნდობა უკვე დაიმსახურა ან მომავალში დაიმსახურებს. ჩვენ არ დავუშვებთ კლანური მმართველობის შექმას. გავამკაცრებთ მონიტორინგს ამ პროცესებზე. უახლოეს ხანში იგეგმება ბატონი ბიძინა ივანიშვილის ჩამოსვლა ოზურგეთში და ჩვენ მას დავანახვებთ თუ რა მდგომარეობაა ერთ-ერთ აქტიურ რეგიონში.

აქ ჯანსაღი პოლემიკა არ მიდის კოალიციის შიგნით, წინასწარ არაა შეთანხმება დანიშვნებზე. არა მაღალ თანამდებობაზე, პატარა თანამდებობაზეც კი არაა ერთიანი ხედვა. გულდასაწყვეტია, რომ ამ დარბაზში ვერ ვხედავ კოალიციის ყველა წარმომადგენელს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ არაა სურვილი, კოალიცია ერთიანი იყოს. მოვუწოდებ კოალიციის ყველა სუბიექტს, დავსხდეთ ერთად და გადავწყვიტოთ როგორც საკადრო, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები. ამას პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე მოუწოდებდა ყველას, ყველა საკითხის კოალიციურ რეჟიმში გადაწყვეტას.

ჩვენი მთავარი პრობლემა იყო და არის ის, რომ მუდამ კარგი ადგილობრივი მთავრობის ნატვრაში ვართ. საზოგადოების განვითარებას უნდა მივაღწიოთ. სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს და გაძლიერდეს. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ჟურნალისტებმა ყველაფერზე მკაცრი მონიტორინგი უნდა დააწესოთ –განაცხადა კვერღელიძემ.

შეკითხვაზე, არის თუ არა დავით დარჩია კოალიციური მუშაობის მომხრე, კვერღელიძემ უპასუხა:–დავით დარჩია კოალიციური მუშაობის მომხრეა პირად საუბრებში, მაგრამ საჯაროდ მისი განცხადება ამასთან დაკავშირებით არ მომისმენია.

–ის რაც ოზურგეთში ხდება, პატარ-პატარა შეცდომების ბრალია, ვიღაცაებს უნდათ ოზურგეთში გავაჩეროთ დრო. ამასთანავე „ქართული ოცნება“მუშაობს კოალიციის სხვა პარტიებიდან წევრების გადაბირებაზე. სასაცილოა ის, რომ საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება“ ნაციონალური პარტიის წევრებისაგან შედგა. დღეს კი ამ ფრაქციის თავმჯდომარეს სამუშაო ოთახიც კი არ აქვს...გამგებელს კაკო სიხარულიძე ჰყავს მასწავლებლად. მაჟორიტარ დეპუტმა ცოტა უფრო მკაცრად უნდა მოჰკიდოს ხელი ამ პროცესებს–გამოთქვა თავისი აზრი საკრებულოს დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ.

დიმიტრი კვერღელიძე;–გამოირიცხა ადიკო ივანიშვილის ჩართვა საკადრო პროცესებში. გამოჩნდა სხვა „რუხი კარდინალი,“რომელიც ამ პროცესებში ერევა. როდესაც ხვედელიძის საქმე დასრულდება, ბევრ კითხვას მოეფინება ნათელი. დღეს ოზურგეთის საკრებულო წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს და იქ არანაირი „ქართული ოცნება“ არ არსებობს. ბატონმა ზვიადმა განაცხადა, რომ საკრებულო ერთ ადგილზე ბუქსაობს და უნდა მოხდეს ცვლილებები და მან მე ღიად დამიჭირა მხარი. საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს, მაღალი ანაზღაურება და ბიზნესი აქვს. ინტერესთა კონფლიქტია, რომ მისი მეუღლე არასამთავრობო ორგანიზაცის ხელმძღვანელობს, საკრებულოს ბიუჯეტიდან, კულტურის ფონდიდან 2010 წლის ნოემბერში დააფინანსა მისი ერთ-ერთი პროექტი. ამ თანადაფინანსებით აგრობიზნესცენტრი დაფინანსდა უცხოელი დონორის მიერ. მათ არ აღელვებთ სად მიდის ხალხის ფული, როგორ იხარჯება. აიპიებში დაახლოებით 0,5 მილიონი ლარი არამიზნობრივადაა დახარჯული. ჟურნალისტები ამ თემით მეტად უნდა დაინტერესდნენ.

* * *

გაზეთი „ალიონი“ პრესკონფერენციაზე დასმული შეკითხვების გამო, რაც „ქართულ ოცნებას“შეეხებოდა, დაუკავშირდა ამ პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით დარჩიას** და კომენტარი სთხოვა:

–ბატონ დიმიტრი კვერღელიძის მოსაზრებებს არ ვეთანხმები. არავის არ მივუწვევივარ პრესკონფერენციაზე, თორემ აუცილებლად მივიდოდი. ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ კოალიციური მუშაობის წინააღმდეგი. მე, დავით დარჩია მზადა ვარ თანამშრომლობისათვის. ისე ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი ზოგჯერ განცხადებებს აკეთებენ და შემდეგ უარყოფენ. არასწორია ის განცხადება, რომ კადრები მხოლოდ „ქართული ოცნებიდან“ ინიშნება. სოფლის რწმუნებულებად, სხვადასხვა თანამდებობებზე დაინიშნენ როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები, ისე რესპუბლიკელების და ფორუმის წარმომადგენლები.

სრულიად აბსურდია „გადაბირებების“თემა. ჩვენთან რიგია პარტიაში მიღებასთან დაკავშირებით. გულწრფელად გეუბნებით, ჩვენ ხელაღებით არავის არ ვღებულობთ პარტიაში. ჩვენ საბუთებს ცენტრალურ ოფისში ვაგზავნით და იქ კიდევ დამატებით ხდება პარტიის წევრობის კანდიდატის საქმის განხილვა. მხოლოდ ამ განხილვების შემდეგ ხდება ადამიანების ჩვენთან გაწევრიანება. თუკი ვინმე რომელიმე პარტიიდან მოსულა ჩვენთან, გვითქვამს–ეს არ არის სწორი და კარგად დაფიქრდი–თქო. ასეთი ადამიანის მიღება, რომელსაც შეუძლია საკუთარ პარტია დატოვოს, არა მგონია „ქართულ ოცნებას“რაიმეს შესძენს.

„ჩემთვის არავის მოუთხოვია პარტიის დატოვება“

ნინო ნიკოლაშვილი

– გაზეთ „ბურიის მოამბის“ ვებგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე, მაიძულებდა დამეტოვებინა რესპუბლიკური პარტია, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან გამათავისუფლებდა. ეს არის სრული სიცრუე. ასევე სრული სიცრუეა, თითქოს ზვიადს აქვს შავი სია და ამ ადამიანების მიმართ ხორციელდება ზეწოლა– აღნიშნა ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა ნინო კუკულაძემ 29 მაისს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ ბრიფინგზე. მისი თქმით, ის არის მთაწმინდის რაიონის რესუბლიკური პარტიის წევრი და არავის არასოდეს მოუთხოვია მისთვის პარტიის რიგების დატოვება სამსახურის სანაცვლოდ და არც აპირებს ამას. დასტურად ნინო კუკულაძემ პარტიის წევრობის მანდატი წარმოადგინა და ჟურნალისტებს ინფორმაციის გადამოწმება ურჩია.

– მიუხედავად იმისა, რომ მარინა სუნგულიას დიდ პატივს ვცემ და ჩემს მეგობრად ვთვლი, არ ვიცი, რაში დასჭირდა ასეთი ხმების აგორება. მე ამ სამსახურში 16 მაისს დავინიშნე და ლოგიკურია, 10 დღის მანძილზე ასეთი ფაქტი ვერ მოხდებოდა, ან ზვიადი მანამდე არ მიმიღებდა სამსახურში, სანამ არ დავტოვებდი რესპუბლიკურ პარტიას. მე დიდი ხანია ვარ ამ პარტიის წევრი და ბევრისგან განსხვავებით არ მიყვარს პარტიიდან პარტიაში მონაცვლეობა.

აღსანიშნავია, რომ ბრიფინგს არ ესწრებოდა დასახელებული გაზეთის წარმომადგენელი, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით მიწვეული არ იყო.

ოზურგეთში ჰოლანდიური ყვავილები შემოიტანეს

მარი კოკოევი

ა(ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრის“ გამწვანების განყოფილებამ ოზურგეთში ჰოლანდიური ჯიშის ჰიბრიდული ერთწლიანი ყვავილები შემოიტანეს.

„სერვისცენტრის“ გამწვანების განყოფილების უფროსის, ირაკლი გაბედავას თქმით, შემოტანილია სხვადასხვა სახეობის 6 ათასამდე ნერგი. ტაგეტესის, პეტუნიას, სალვიას, იმპატიესის და ცელოზიას 3 000 ნერგი გამგეობის წინ, პალმების გარშემო დაირგო. 1700 თამარ მეფის მოედანზე. ასევე დაირგო ვაგზლის მოედანსა და ახლად გარემონტებულ ფანტანის (რესტორან „იზაბელას“მიმდებარე) მიმდებარე ტერიტორიაზე.

გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

სოფ. კონჭკათში საბავშვო ბაღი გაიხსნა

1 ივნისს, სოფ. კონჭკათში საზეიმოდ გაიხსნა საბავშვო ბაღი.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ალეკო ტუღუშმა გვითხრა, სოფელს 25 წელია არ ჰქონდა ბაღი. მათ შარშან სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაღის შენობის შესყიდვას და რემონტს მოახმარეს. მათ გვერდით დაუდგა სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი და ტენდერის საშუალებით საბავშვო ბაღისთვის საუკეთესო ავეჯი და ინვენტარი შეიძინეს.

ბაღი სოფლის ცენტრთან ახლოს, ორსართულიანი შენობის მეორე სართულზეა განთავსებული. პირველ ეტაპზე ერთი ჯგუფი გაიხსნა, სადაც 26 ბავშვია.

კონჭკათლები მუნიციპალიტეტის თანადგომით, შენობის პირველი სართულის გარემონტებასაც აპირებენ, რაც საშუალებას მისცემთ გახსნან მეორე ჯგუფი.

ბაღის გამგედ ახალგაზრდა პედაგოგი თეა ტუღუში დაინიშნა.

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძემ ბაღს საჩუქრად მუსიკალური ცენტრი გადასცა.

ჩემო საყვარელო ბავშვებო!

სულითა და გულით გილოცავთ 1 ივნისს –ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. უფალი იყოს თქვენი ცხოვრების გზის დამცველი და დამლოცველი.

მაია ნიკოლაიშვილი,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლეახალგაზრდობის სახლის დირექტორი

დათო ტურაშვილი: „აქედან ყოველთვის დადებითი ემოციით დატვირთული მივდივარ"

მარი კოძოევი



„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირს" დათო ტურაშვილი სტუმრობდა. ვიზიტი ტურაშვილისთვის „პედაგოგთა კავშირში" რიგით მეორე იყო. ამჯერად არასამთავრობომ ის ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მიიწვია. შეხვედრა აღნიშნული ორგანიზაციის საკონფერენციო დარბაზში 1 ივნისს შედგა. სტუმარმა ისაუბრა თემაზე „ბავშვი და ლიტერატურა".

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ტურაშვილის რამდენიმე წიგნი, მათი ყიდვა მსურველს იქვე შეეძლო. სიამოვნებით გაჩუქებდით წიგნებს, მაგრამ მე არა, გამომცემლებს ეკუთვნისო- თქვა მწერალმა და ხუმრობით დაამატა წიგნის ჩუქება არც ისე კარგია თურმე ნაჩუქარ წიგნებს ნაკლებად კითხულობენ ნაყიდს კი რადგან მასში ფული აქვთ გადახდილი აუცილებლად ყველა კითხულობსო. მწერალმა ყველა წარმოდგენილი წიგნის მოკლე მიმოხილვა გააკეთა.

მერე კი დარბაზისთვის საინტერესო შეკითხვებს უპასუხა.

ოზურგეთელებს რომ დათო ტურაშვილის შემოქმედება უყვარს მასთან შეხვედრის მსურველების რაოდენობითაც ნათლად ჩანდა. პედაგოგთა კავშირის დარბაზი სტუმარს სრულად შევსებული დახვდა. შემოვიდა თუ არა მასპინძლებმა უთხრეს რომ ოზურგეთში ბიბლიოთეკებში მისული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად სწორედ მის წიგნს კითხულობენ.

დათო ტურაშვილი: დიდი მადლობა ამისთვის. მე ძალიან მიყვარს გურიაში ჩამოსვლა. აქედან ყოველთვის დადებითი ემოციებით დატვირთული მივდივარ.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლმა ბავშვთა დღე აღნიშნა

პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლმა ალ.წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმო კონცერტი გამართა.

კონცერტში მონაწილეობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არსებული სიმღერის ანსამბლი „ნედლი სალამურები",ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „კრიმანჭული", ხალხური ცეკვების ანსამბლი „ჯუთა", თანამედროვე ცეკვების ანსამბლი, თეატრალური სტუდია და გიტარის წრის ბავშვები.

მაია ნიკოლაიშვილი (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელი): რადგან ჩვენთან ქართული ცეკვების ანსამბლი ახალ გახსნილია და ყველა ცეკვის ფორმა არ გვაქვს ერთი ცეკვით დავიხმარეთ „ზენაარი".

ამავე ღონისძიებაზე დავჯილდოვდა „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის," წლის აქტიური მოსწავლეები და პედაგოგები. დავჯილდოვდა ინტელექტუალურ თამაშებში გამარჯვებული ბავშვები. ცნობისთვის, „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში" მთელი წელი მუშაობს ინტელექტკლუბი „მეტიდა". უფროს კლასელთათვის რა? სად? როდის? და უმცროს კლასელთათვის „ვინიერი". ასევე დიპლომები გადაეცათ ცეკვის წრის ბავშვებს, რომლებიც 23 აპრილს იმყოფებოდნენ სტამბოლში და მონაწილეობდნენ ბაირამის აღნიშვნის ღონისძიებაში.

კონცერტის რეჟისურა ეკუთვნოდა ნინო ჯიჯიეშვილს, დეკორაცია მზატვა, რუსუდან მდინარაძეს.

სამხატვრო სკოლის გამოფენაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს იმართება გამოფენა-კონკურსი, სადაც კომპეტენტური ჟიური საუკეთესო ნამუშევრებს არჩევს ნომინაციების მიხედვით. წელსაც ჟიურიმ (ა. თავართქილაძე, რ. ჯაში, კ. თოდრაძე, ვ. მამეიშვილი) საუკეთესო ნამუშევრების ავტორები გამოავლინა.

საუკეთესო კომპოზიცია– I ადგილი– **გიორგი კონტრიძე;** II– **ნათია დიდია;** III –**ელისაბედ გეგუჩაძე.**

საუკეთესო გრაფიკული ნამუშევარი: I ადგილი– **თამთა ანდღულაძე;** II –**ეკატერინე ხომერიკი;** III –**ნონა ბურჭულაძე.**

საუკეთესო ფერწერული ნამუშევარი: I ადგილი –**ნანა ბურჭულაძე;** II –**შაკო ჩხარტიშვილი;** III –**ქეთი ბაჯელიძე.**

საუკეთესო დეკორატიული კომპოზიცია: I ადგილი –**ანა ტრაპაიძე;** II –**თორნიკე ბერიძე;** III –**გიორგი რამიშვილი.**

საუკეთესო რელიგიური თემატიკა: I ადგილი –**მიხეილ თავბერიძე;** II –**თემურ მიქელაძე;** III –**სალომე ჩხარტიშვილი.**

საუკეთესო რეწვა: I ადგილი –**სალომე კვირიკაშვილი;** II –**ნანუ ღლონტი;** III –**ქეთევან გიორგაძე.**

გამოვლინდა სკოლის საუკეთესო კურსდამთავრებულები, არაერთ კონკურსში გამარჯვებულები: **ეთუნა კონტრიძე და ნინო გორდელაძე.** მათ შპს „ვასაძის პურმა" საჩუქრები გადასცა. დაჯილდოვეს ასევე მოსწავლეები **გიორგი რამიშვილი, მიხეილ თავბერიძე, ქრისტინე მუჯირი.**

გამოფენას სტუმრობდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ალეკო მამეშვილი.** „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **დავით დარჩია,** საკრებულოს დეპუტატები **თამაზ სალუქაძე, თემურ მოქა,** მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი **მაია თანდილაშვილი** და ა.შ

გურია პოლიეთილენის გარეშე

მარი კოძოევი

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში გურიის რეგიონის საჯარო სკოლებში დაარსებული 19 სამოქალაქო კლუბისა და 14 საინიციატივო ჯგუფის ინიციატივით 31 მაისს გაიმართა ფართომაშტაბიანი აქცია „გურია პოლიეთილენის გარეშე". აქცია ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად.

აქციის ფარგლებში პოლიეთილენის პარკებისა და ბოთლებისაგან დასუფთავდა ოზურგეთის ავტოსადგური, ასევე რეგიონის 30-მდე სოფლის ცენტრალური ტერიტორია. ამ გზით აქციის მონაწილეებმა პოპულარიზაცია გაუწიეს ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და გარემოს დაცვას.

დასუფთავების პარალელურად, გაიმართა საზოგადოების ქცევის შეცვლისაკენ მიმართული ცნობიერების ამაღლების კამპანია - მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია პოლიეთილენის პარკების ჩანაცვლების შესახებ, მოსწავლეებმა დაარიგეს ნავრის ჩანთები, როგორც ე.წ. „ცელოფნის" ერთ-ერთი ალტერნატივა.

აქციაში მონაწილეობდა გურიის რეგიონის 33 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბი და საინიციატივო ჯგუფი, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური, გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან არსებული მოხალისეთა სახლის წევრები.

ანსამბლ „ედელვაისის" მორიგი წარმატება

საჩხერეში, ობოლო ციმაკურიძის სახელობის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში ჩატარდა ქართული კულტურის, ფოლკლორის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კავშირის ფესტივალი „ვაზაფხული,"სადაც იმერეთის მხარის სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობდა ოზურგეთის სარაიონო კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ედელვაისი (ხელმძღვანელი გიორგი ჩიხლაძე, პედაგოგი მზია კვერღელიძე).

უნდა აღინიშნოს ოზურგეთელთა წარმატებული გამოსვლა. მათ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა „ლალე,",„მგზავრული,"(თითოეული კოლექტივის გამოსვლა ორ-ორი ნომრით იყო დაგეგმილი), ქართული ხალხური საკრავების თანხლებით, მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ანსამბლის ხელმძღვანელები და მისი წევრები ჟიურის მიერ (თავმჯდომარე საქართველოს დამსახურებული არტისტი დავით გაგოშიძე, ნუგზარ კაპანაძე) დაჯილდოვდა დიპლომებით და მედლებით.

უნდა აღინიშნოს მიკროავტობუსის მძღოლის ნუკრი ჭანუყვაძის გულისმიერი და კარგი მომსახურება, რომ მოგვეცა საშუალება გვენახა და დაგვთვალიერებინა მონასტერი „კაცხის სვეტი,"რომლის არსებობას მეცნიერები VII-VIII საუკუნიდან ვარაუდობენ.

ნოდარ დონაძე

ქართული მოვალეობის შემსრულებელი

ასეთ ვითარებაში ზოგიერთმა ჩემმა შეგირდმა მომმართეს წინადადებით იუბილეს მოწყობისა რაზედაც, რა თქმა უნდა უარი განუცხადე, პირველად იმიტომ რომ საიუბილეო არაფერი გამიკეთებია ,მე მხოლოდ ჩემს ქართულ მოვალეობას ვასრულებდი, მეორედ იმიტომ რომ კიდევაც ვიყო ღირსი იუბილესი ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში იუბილე ვის გაუგონია, არ ეგების წერდა ექ. თაყაიშვილი. მატერიალური სიდუხჭირის გამო ექ. თაყაიშვილი პარიზიდან ლევილში იყო გადასული. 1924 წლის 18 აპრილით დათარიღებულ წერილში ნიკო მარისადმი იგი წერდა " რა ვქნა არ ვიცი უწიგნოდ ვიტანჯები და რადგან წიგნებს მოკლებული ვარ არც რაიმე სტატიების დამზადებაც შეუძლებელია გარდა მცირე მასალისა ჩემი მოგზაურობისა, რომელიც თან მაქვს უბის წიგნების სახით, იწერები რა გაკლია წიგნები მომწერეო, მე იმდენი მაკლია რომ მრცხვენია ყველაფრით შეგაწუხო" (" ნიკო მარისა და ექმთიმე თაყაიშვილის მიმოწერა "თბ.მეცნიერება 1991 წელი გვ.318).

1931 წელს ექვთიმეს მეუღლე გარდაეცვალა. იგი ლევილში დაგრძალეს, ნინო მისი ცხოვრების ერთგული მეგზური, სათნოებითა და სიკეთით სავსე ქალი უადვილებდა მეცნიერს უცხოობაში ყოფნას, იზიარებდა მის ჭირსა და ლხინს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ექვთიმეს კიდევ უფრო გაუჭირდა საფრანგეთში ცხოვრება, პარიზში ჩასვლის საშუალება არ ჰქონდა, ხშირად ის უსადილოდ რჩებოდა. მისი უბის წიგნაკიდან ვიგებთ : "1934 წლის თებერვალში 6 დღე არ უსადილია, მარტში 13, მხოლოდ ნახევარი ლიტრი რძითა და პურით არსებობდა. როცა სადილს ჭამდა რძეს აღარ იღებდა... და ეს წლობით გრძელდებოდა". (ი. მეგრელიძე "ექვთიმე თაყაიშვილი" თბ.1989წ გვ.84).

მიუხედავად სიძნელეებისა და სიდუხჭირისა იგი კვლავ განძეულობას იცავდა. ეძიებდა, პოულობდა და იძენდა ევროპაში გაფანტულ საქართველოს სიძველეებს და ადგენდა მათ აღწერილობას.

1929 წელს დაბეჭდა "ქართული სიძველენი ევროპის ანტიკვარებთან".

1933 წელს გამოსცა წიგნი "პარიზის ბიბლიოთეკის აღწერილობა"

1929-1931 წლებში შეადგინა ქართულ- ფრანგული ლექსიკონი.

ექვთიმე თაყაიშვილს ძალიან გაუჭირდა საფრანგეთის ოკუპაციის წლებში. მისი მდგომარეობა იმდენად კრიტიკული და უმწეო იყო, რომ 1941 წლის სექტემბერში იგი თხოვნით მიმართავდა ლევილში მყოფ მეზობლებს, რომ ზამთარი კარს მოგვადგა არ მაქვს შეშა და არც ნახშირი და იქნებ დამდოთ პატივი და თქვენი საზრდოდან, რომელთაც სადილ-ვახშმად იმზადებთ ერთი კერძი მეც მომაწოდოთო, რასაკვირველია საზღაურს გადაგიხდით მაგრამ აცნობეს რომ არ შეეძლოთ ამ თხოვნის შესრულება. გაჭირვებისას ექვთიმეს შეუძენია თხა. თვითონვე აძოვებდა. წველის დროს როგორც თავად იგონებს ჯანმრთელი ფეხი თხის თოკზე მედგა. ერთხელაც დაიძრა თხა და წამაქცია და შევძახე მლუპავ ჩემო მარჩენალო. ფეხს მტეხო ..

საფრანგეთში მყოფი ექ. თაყაიშვილი მიუხედავად ეკონომიური სიძნელეებისა და დუხჭირი პირობებისა აქაც სამშობლოს ემსახურებოდა:გულმხურვალედ იცავდა ეროვნულ საუნჯეს, განაგრძობდა მეცნიერულ კვლევა ძიებას. ნაშრომებს ბეჭდავდა ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ეხმარებოდა თანამემამულე სტუდენტებს, და ქართული კულტურის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მეცნიერებს. დაკავშირებული იყო ანტიკვარიატით მოვაჭრეებთან და თუ სადმე რაიმე ქართული ექსპონატი გამოჩნდებოდა, შემთხვევას არ უშვებდა რომ არ შეეძინა. მისი მოგონებიდან ვიგებთ " გერმანელების მიერ საფრანგეთის აღების შემდეგ მუდმივ შიშსა და ტერორის ქვეშ ვიყავი, განსაკუთრებით გამიჭირდა გერმანელების ოკუპაციის დროს, მიუხედავად გაჭირვებისა არათუ სახელმწიფო ნივთი არამედ ჩემი პირადი ისტორიული ნივთიც კი არ გამიყიდია. თუმცა მქონდა იშვითი ნუმიზმატიკური ერთეულები, დაწყევლილი მყავდა ყოველი ქართველი, რომელიც სამშობლოს ნივთს დაუკარგავდა.გამოცხადებული მქონდა ასეთი ნივთი ჯერ ჩემთან უნადა მოეტანათ და თუ ვერ შევიძენდი მაშინ შეეძლო უცხოელზე გაეყიდა".

ასე გრძელდებოდა ექვთიმეს ყოფა უცხოეთში ყველაფერი შემოაცვდა და ბოლოს როცა ახდა მსი ოცნება, განძის საქართველოში დაბრუნების შესახებ, წამოსვლის წინ ექვთიმე თვითფრინავში არ ადიოდა , ზოგმა მეუღლის საფლავთან საბოლოოდ განშორების სევდას მიაწერა, რამოხდაო, მას რომ ჰკითხეს - გაჭირვებამ ათქმევინა: წარსდგა მშიერი და ვერა ტიტველიო"

ამ დიდ ერისკაცს საზოგადოებაში გამოსაჩენი კოსტუმიც კი არ აღმოაჩნდა . საელჩოში გაიგეს, რომ ფასდაუდებელი განძის გუშაგი როგორ საწყლად ცხოვრობდა . მეგზურებმა სამოსი ქაიროსა და თეირანში შეუძინეს. „ აი ასეთ გაჭირვებაში მყოფმა ექვთიმე თაყაიშვილმა არა თუ ეროვნული საგანძური არამედ საკუთარიც კი სამშობლოს დაუტოვა. მათგან ერთი ძვირფასი ნივთიც კი რომ გაეყიდა თავისთავს კი არა რამდენიმე ოჯახსაც შეინახავდა" (ი. მეგრელიძე „ექვთიმე თაყაიშვილი " 1989 წ გვ 97)

1945 წლის 11 აპრილს ეროვნული განძი 82 წლის მხცოვან მეცნიერთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება :„ პარიზიდან 1945 წლის 5 აპრილს გამოვფრინდით ომი ჯერ კიდევ არ იყო გათავებული. ღამე რომში გავათიეთ, შემდეგ ბიზერტაში ჩავფრინდით, ბიზერტიდან ქაიროში გადმოვფრინდით 2-3 დღე გავჩერდით უამინდობის გამო. 11 აპრილს გამოვფრინდით თეირანიდან და 7-8 საათის შემდეგ თბილისის აეროდრომზე დავეშვით. თვითფრინავიდან რომ გადმოვდგი ფეხი აკაკის ლექსი მომადგა ენაზე : „ცა ფირუზ- ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო- დედაშვილობას მეტს არ გთხოვ შენს მიწას მიმბარეო " 82 წლის მოხუცს ამიხდა დიდი ხნის ნატვრა დავუბრუნდი სამშობლოს და დაუბრუნე მისი კუთვნილი განძეულობა". („დაბრუნება" ტ1 გვ 496)

ექვთიმე თაყაიშვილმა საზღვარგარეთ თუ სამშობლოში დაუღალავი მოღვაწეობით მრავალი ძეგლი, პირველწყარო დაღუპვას გადაარჩინა. ჩქარობდა ძეგლებზე წარწერების ამოკითხვას, რომ ძეგლის დაღუპვის შემთხვევაში წარწერები არ დაღუპულიყო.

იგი ზოგჯერ ხუმრობდა რომ ბავშვობიდან ხეიბარი არ ვყოფილიყავი აუცილებლად ფირალი ვიქნებოდიო. იგი ხშირად ვინმე კერძო პირს, იშვიათი ნაკეთობის ნივთს გამოართმევდა და ეტყოდა : სახლში წავიღებ , შევისწავლი და დაგიბრუნებო, მეორე დღეს გაზეთში განცხადებას აქვეყნებდა ამა და ამ კაცმა ესა და ეს ნივთი შესწირაო.

ექვთიმე თაყაიშვილს სიყვარული და თავდადება ქართული ძეგლებისა და სიძველეთა აღმოჩენის შესახებ კარგად არის გადმოცემული სარგის ცაიშვილის მოგენებაში ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ.

ერთხელ ექვთიმემ მიამბო: ერთი ძმა მყვანდა ნიკო. ოზურგეთში ცხოვრობდა , ერთხელ დეპეშა მომცა, ავად ვარო, მაგრამ ჩემი მოუცლელობის გამო ვერ წავედი, ოღონდ წამლები მივაშველე და ზომები მივიღე რომ კარგ ექიმებს ემკურნალა მისთვის, ნამეტანი ნაწყენი დამრჩა და რომ შევედი მითხრა : „სულელი ვარ, ჩემი ავადმყოფბა კი არ უნდა მეცნობებინა არამედ დეპეშით უნდა მომეწერა : "ნაიდენა არქეოლოგიჩესკაია ჟეშტუნკა" და ვნახავდი კისრის ტეხით თუ არ ჩამოხვიდოდიო" („ლიტერატურული საქართველო" 1993 წ)

როგორც ამბობენ, მთელი მისი ცხოვრება იყო წირვა აღვლენილი ღვთისადმი, საქმიანობა ამ ზებუნებრივი კაცისა უდიდესი ზნეობით, სიყვარულით , და რწმენით საქართველოს ისტორიის პირველადი წყაროების შეკრებ ა-დაცვა მეცნიერული აღწერა , დამუშავება და გამოცემები. საზღვარგარეთ გატანილი სამუზეუმო განძეულის უნაკლო დაცვა გამდიდრება და სამშობლოში დაბრუნება ეროვნულ გმირობად შეირაცხა. დამაშვრალ მამულიშვილს მადლიერმა ხალხმა „ საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი " უწოდა, წმინდა სინოდმა კი 2002 წლის 17 ოქტომბერს გამოხატა ღვთისა და ერის ნება და წმინდა დასში შერაცხა ექვთიმე თაყაიშვილი ექვთიმე ღვთისკაცის სახელით. ხსენება 3/16 იანვარს.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

დასაწყისი გაზეთი „ალიონი“, №21, 27 მაისი

წერილი რედაქციას!

გაზეთ „ალიონის“ რედაქტორს, ბატონ ნუგზარ ასათიანს!

ჩემს გულისტკივილს, რაზედაც ახლა მოგახსენებთ, იმედია მისცემთ სათანადო რეაგირებას.

გასული წლის ამავე პერიოდისთვის მივმართე თავბერიძეს (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი-რედ.) რომ დამხმარებოდა ჩემი საკარმიდამო ნაკვეთის დროულ შეწამვლაში. ვცხოვრობ და ვფლობ 3000 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთს ზვანის ტერიტორიაზე, სადაც გაშენებული მაქვს ხეხილის უნიკალური ჯიშები. 36 წელი ვიმუშავე ანასეულის საცდელ-საწარმოო მეურნეობაში და იქ არსებული თითქმის ყველა ხეხილი გადმოვამყენი და გავახარე ჩემს ეზოში (რა არის ამაში ცუდი, რომელიც თავბერიძემ ვერ გაიგო). მივმართე რამდენჯერ, რასაც იქ მომუშავე თანამშრომლები დამეთანხმებიან. აბა ვისთვის უნდა მიმემართა? ამ საქმეს თვითონ თავბერიძე კურირებს. გაჯიუტდა და არ შემიწამლა. აბა რას იზამდა სააკაშვილის ჩინოსანი. არ მოვეწონე ალბათ, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი რომ ვიყავი.

რომ არაფერი გამომივიდა, მივმართე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს სოფლის მეურნეობის დარგში ლაშა ღლონტს,–დიდებულ ახალგაზრდა კაცს. წამყვა სახლში. ვაჩვენე ამერიკული ჰიბრიდან გადახრული მცენარეები. თავბერიძემ მაინც არ შემიწამლა. ან რატომ მომისმენდა?არის რაიონის ჩინოვნიკი, აქვს დიდებული სამსახური, მაღალი ხელფასი, მიმაგრებული ჰყავს სახელმწიფო ავტომანქანა „ჯიპი...“ კიდევ, მესამედ მივმართე,–კვლავ გაჯიუტდა. ბოლოს იცით რა შემეკითხა?

შენ ბოსტანი გაქვს?–კი, პომიდორი მომყავს-მეთქი.

თუ წამლავო,–კი მეთქი.

–აბა მოკიდე შესაწამლ აპარატს ხელი და შეწამლე შენი ეზოო.. ხეების სიმაღლე 10-15 მეტრს აღწევს... განაწყენებულმა რა არ „შევპირდი..“ იცით რა მიპასუხეს მაგის თანამშრომლებმა?

–მაგას ვერაფერს ვერ უზამ, გუბერნატორის მოადგილის, ლელა თავართქილაძის ნათესავსო.

....ა, ბატონო! ხალხის მომსახურება „კრიშის“ მიხედვით!

ყორაღ თავბერიძე!მე მგონი თქვენ, როგორც სააკაშვილის ხროვის,“ „ნაციონალების“ ქომაგი და მხარდამჭერი, არ იმსახურებთ იმ ადგილს, სადაც ამჟამად მუშაობთ.....აი, ასეთი თავბერიძეები, უშლიან ხელს ბატონ ბიძინას აღებული კურსის შესრულების საქმეში.....

გივი დობორჯგინიძე

ბატონო ნუგზარ,

თქვენი 28 მაისის წერილის პასუხად, რომელიც მოქალაქე გ. დობორჯგინიძის საჩივარს შეეხებოდა, გაცნობებთ, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს საკარანტინო მავნებლის - ამერიკული თეთრი პეპელის წინააღმდეგ წამლობით ღონისძიებებს ყოველწლიურად. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით ” მცენარეთა დაცვა და კეთილსაიმედოობა”, გათვალისწინებულია გზისპირების, ტრასების, სკვერებისა და ქუჩების დამუშავება. აღნიშნული სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებას. საქართველოს კანონმდებლობით, ნებისმიერი მოქალაქე ვალდებულია საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთი თავად დაამუშაოს და არ დაუშვას მავნე ორგანიზმების გამრავლება. შესაბამისად, სააგენტოს რეგიონულ სამმართველოს უფლება არ ჰქონდა საკარმიდამი ნაკვეთებში ჩაეტარებინა წამლობითი ღონისძიებები.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მოსახლეობაში დასარიგებლად მუნიციპალიტეტებს, მათ შორის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტსაც გადასცა სპეციალური შესაწამლი აგრეგატები და პესტიციდები, რომლითაც უნდა დამუშავებულიყო საკარმიდამო ნაკვეთები. შეგახსენებთ, აღნიშნულ ღონისძებას ორგანიზებას უწევდნენ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები.

მომავალი თანამშრომლობის სურვილითა და ღრმა პატივისცემით,

ვერიკო გულუა

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი

ნარუჯელების პირუტყვს მგლები ანადგურებს

დაბა ნარუჯის მე-6 რაიონი 3 კილომეტრითაა დაშორებული ცენტრს. მათი კუთვნილი პირუტყვი მდ. ჩოლოქის პირას მინდვრებზე ბალახობს. ჩოლოქისპირა საძოვრებით სარგებლობენ მეზობელი მუნიციპალიტეტის, ჯიხაჯურის მცხოვრებლებიც.

ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა ჩოლოქისპირა ტყის კორომებსა და სხვა ადგილებს შეფარებული მგლები და ხშირად ესხმიან შინაურ პირუტყვს თავს. ნარუჯელებს და ჯიხანჯურლებს რამდენიმე ძროხა დაუგლეჯეს. მგლებმა რამდენიმე დღის წინ სერგო კახაძის ძროხა შეჭამა.

როგორც ნარუჯელები ამბობენ, დაბის რწმუნებულმა ზვიად მიქელაძემ ამ თემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტს მინართა, იყო მონადირეთა ბრიგადაც მობილიზებული, მაგრამ უშედეგოდ. ადგილობრივი მოსახლეობა მორიგეობით მწყემსავს შინაურ პირუტყვს, მაგრამ მგლები მაინც აღწევენ საწადელს.

ნარუჯელები ხელისუფლებისაგან დახმარებას ითხოვენ

პოლიციამ ურეკში ცხედარი იპოვა

31 მაისს ოზურგეთის პოლიციამ ურეკში ცხედარი იპოვა. როგორც შემდეგ გაირკვა გარდაცვლილი 44 წლის, ურეკის მკვიდრი, ლერი ჩხიტუნიძეა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში დაკარგული იყო და ეძებდნენ. პოლიციამ ცხედარი 31 მაის დაახლოებით დღის სამ საათზე იპოვა, რის შემდეგაც სასწრაფო სამედიცინი დახმარების ბრიგადა გამოიძახეს. სასწრაფომ გარდაცვლილი ექსპერტიზაზე გადაიყვანა. სავარაუდოდ ლერი ჩხიტუნიძე 10-12 დღის გარდაცვლილი იყო.

უკვდავია სახელი ხელოვანისა

ქართული ხალხური, მრავალხმიანი სიმღერა-საგალობლების უკვდავებისა და სიცოცხლისუნარიანობის საქმეში უდიდეს როლს მომღერალი ოჯახები და გვარები ასრულებენ.

1927 წლის შემოდგომაზე, 10 ოქტომბერს, სოფელ ლიხაურში, სერგო ურუშაძის ოჯახში, დიდი მომღერალი და ლოტბარი, კარლო ურუშაძე დაიბადა. დედა–ოლია მაკვანეთელი აზნაურის, გიორგი იობიშვილის ქალიშვილი გახლდათ, იმ ადამიანისა ,რომელმაც მანამდე უცნობი,ჩონგურის მეოთხე წყობა აღმოაჩინა.სიმღერის სწავლა კარლო ურუშაძემ ადრეულ ასაკში დაიწყო. "ჩვენსას კვირაში ორჯერ იკრიბებოდნენ მეზობლები და მათ ჩემი დედ-მამა სუფრაზე სამღერ სიმღერებს ასწავლიდა-" იგონებს ბატონი კარლოს მონათხრობს მისი მეუღლე, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის შთამომავალი, ქალბატონი ნუნუ თაყაიშვილი.

ბატონმა კარლომ ლიხაურის სკოლის დამთავრების შემდგომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალში, ოზურგეთის საფეიქრო-სანჟინრო სასწავლებელში ჩაბარა. სწავლის პარალელურად იგი ვარლამ სიმონიშვილის გუნდში, გამოჩენილი ლოტბარების გვერდით მღეროდა.

1952 წელს კარლო ურუშაძემ ანასეულის ჩაის მრეწველობის საკავშირო კვლევით ინსტიტუტში დაიწყო მუშაობაიგი უნიკალური ინჟინრული და კონსტრუქტორული ნიჭით იყო დაჯილდოებული. ჩაის მრეწველობის ისტორიაში პირველად მან შექმნა ხელსაწყოს მოდელი, რომელიც საშუალებას იძლეოდა განესაზღვრათ ჩაის ფოთლის ხარისხი მისი მექანიკური შედგენილობის მიხედვით. აღნიშნულმა ხელსაწყოებმა ("სინაზე 1"და "სინაზე 2") მეცნიერთა დიდი მოწონება დაიმსახურა. გამოგონებამ საავტორო მოწმობაც მიიღო .იაპონელმა მეცნიერებმა ხელსაწყოს ფანტასტიკური უწოდეს. შემდგომში ბატონმა კარლომ შექმნა კიდევ ორი უნიკალური ხელსაწყო ჩაიში ფერომინარევებისა და მტვერის განსასაზღვრადერთ გამოგონებას მეორე და მესამე მოჰყვა და ასე შემდეგ. ბატონ კარლოს როგორც წარმატებულ ინჟინერს, მიღებული აქვს 7 ოქროს მედალი, 5 საავტორო მოწმობა და ღირსების ორდენი.

1959წელს ცოდნის განსამტკიცებლად მან ჩაბარა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე. იგი თავის საყვარელ საქმეს არასოდეს ჩამოშორებია. ანასეულის,ბახვისა და ლიხაურის სკოლებში ბავშვებს სიმღერას ასწავლიდა,გარდაცვალებამდე კი ანსამბლ "ლიხაურს" ხელმძღვანელობდა.

კარლო ურუშაძემ ოჯახი 1952 წელს შექმნა. როგორც მისი მეუღლე, ქალბატონი ნუნუ გვიამბობს: – მან და ბატონმა კარლომ ერთმანეთი ჩაის პლანტაციაში გაიცნეს,ქალბატონი ნუნუს მიერ მოკრეფილი ჩაის ხარისხი აგრონომს დაუწუნებია, რომელსაც ბატონი კარლოც ახლდა თურმე, აჩერებულა ახალგაზრდა ქალიშვილი ნამუშევრის დაწუნების გამო. სწორედ ეს ფაქტი დაედო საფუძვლად აპარატ "სინაზის" შექმნას." როცა შენს თვალზე ცრემლი დავინახე, გადავწყვიტე ისეთი აპარატი შემექმნა,რომელიც ჩაიში სინაზეს განსაზღვრავდაო" უთქვამს ბატონ კარლოს.წყვილს სამი შვილი შეეძინა: ზაალი, თამრიკო და ლია. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარალელურად, ზალიკო საგუნდო-სადირიჟოროზეც სწავლობდა. იგი მამის მსგავსად ანასეულის ჩაის მრეწველობის ინსტიტუში მუშაობდა და ამავე ინსტიტუტთან არსებულ გუნდში მღეროდა.

ბატონი კარლოს შვილიშვილებმაც სიმღერა აირჩიეს თავიანთ პროფესიად. ლელა სოფელ დიღმის ეკლესიის მგალობელ-რეგენტია. მღერის ანსამბლ "სათანაოში", ასევე ხელმძღვანელობს ბავშთა გუნდს "კირიალესას".

ბელა -წარმატებული მეგიოლინეა. იგი სხვადასხვა კონკურსების გამარჯვებული და პირველი ადგილის მფლობელია. ჰყავს მეუღლე, ცნობილი მუსიკოსი და გიტარისტი დათო გაბიძაშვილი.

დიდი ბაბუის მოსახელე სერგო ურუშაძე კი ბავშვობიდან ანსამბლ "მართვეში" მღეროდა. იყო სიონისა და სამების საკათედრო ტაძრის მგალობელი. ამჟამად მომღერალ-მგალობელთა ანსამბლის "ბასიანის" სოლისტია.

ოჯახურ ანსამბლში მღერის ზაალის მეუღლეც, ქალბატონი მზია ცქვიტინიძე.

ურუშაძეების ოჯახისათვის სცენა უცხო არ არის. 3 წლისაც არ იყო ლელა ურუშაძე ფილარმონიაში ნესტორ კონტრიძის "ლამაზნო," რომ შეასრულა ბებია-ბაბუასთან და მშობლებთან ერთად.

მალე ერთი წელი შესრულდება რაც ბატონმა კარლომ მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი.იგი ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან. კურთხეულია ნაბიჯი მხოლოდ ვალმოხდილისა.

სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი და 13 შვილთაშვილი ეს ბატონი კარლოს მემკვიდრეებია, ეს ურუშაძეების დიდი ოჯახია, სადაც ყველა მღერის.

ქართულ ხალხურ მუსიკასა და საგალობლებს ქართველი ერის ისტორიის შექმნასა და ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვის. სანამ ასეთი ოჯახები არსებობენ ჩვენს ისტორიას, ყოფასა და ქართულ გენს გადაშენება არ უწერია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

ომარ ბიჭიკაშვილის ხსოვნას

ერთი წელი გავიდა ოზურგეთის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პიროვნების ომარ ბიჭიკაშვილის გარდაცვალებიდან.

მას ცხოვრების ახალგაზრდული წლების მნიშვნელოვანი ნაწილის გატარება აფხაზეთსა და სოჭში მოუწია. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს ქ. სოჭის, დაგომისის აგროსამრეწველო კომბინატში. აქ კი, როგორც კვალიფიციურმა სპეციალისტმა და ერუდირებულმა პიროვნებამ კარგი ავტორიტეტი მოიპოვა და რასაც სამსახურებრივი დაწინაურება და ქ. სოჭის საქალაქო საბჭოს დეპუტატად არჩევა მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იმ დროისათვის დიდი აღიარება იყო, რასაც შემდეგი დაწინაურება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ომარს გული სამშობლოსაკენ მოუწევდა და სავალდებულო სამუშაო ვადის გასვლის შემდეგ მან მშობლიურ რაიონში დაბრუნება და დაოჯახება არჩია.

აქაც მალე დაინახეს მისი ზნეობრივი და პროფესიონალური თვისებები და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნეს: ჯერ აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის, შემდეგ ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნად; 1987 წელს –ოზურგეთის რაიკომში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. ამ წლებში რაიონული საბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს.

შემდეგ დაიწყო 90-იანი წლების ცნობილი მოვლენები. ომარ ბიჭიკაშვილი ბოლნისში ხელმძღვანელობდა მსხვილ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. რამდენიმე წლის წარმატებული საქმიანობა რეგიონში განვითარებულ ცნობილ მოვლენებს და კლიმატური სტიქიებს შეეწირა. წარმოშობილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა მის ჯნმრთელობაზე იმოქმედა. მიუხედავად ამისა, იგი ის თავის ერთგულ მეუღლესთან ერთად შრომობდა და იბრძოდა ოჯახის ფეხზე მყარად დადგომისათვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი გატაცება ჭადრაკით. წლების მანძილზე იყო ოზურგეთის საჭადრაკო კლუბის სპონსორი და ოზურგეთის ჭადრაკის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი. იყო გაზეთ „საჭადრაკო მოამბის“ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედკოლეგიის წევრი. ფლობდა I თანრიგს ჭადრაკში. იყო არაერთი რაიონული ჩემპიონატის და ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. მისი ბოლო „მონაპოვარი“2012 წლის „26 მაისის“თასი იყო, რომელიც თავისი შვილიშვილების სიყვარულს მიუძღვნა.

მისი სახით ოზურგეთლებმა მაღალი ზნეობრივი, კაცური, პატრიოტული სულისკვეთების ადამიანი, კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა, კარგი მეგობარი და მოქალაქე დაკარგეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრები.

გარდაცვლილი მოჭადრაკეების ხსოვნას მიეძღვნა

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბი 9 წელია ატარებს გარდაცვლილი მოჭადრაკის გიგლა ლომჯარის ხსოვნისდ ტურნირს. ამჯერად ამ ტურნირს უფრო ფართო სახე მიეცა დამ ას გარდაცვლილ მოჭადრაკეთა ტურნირს უწოდებენ.

ზურაბ ანდღულაძე, გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი: ჩვენ არაერთი ცნობილი მოჭადრაკე გვყავდა: **სიმონ გუგუნავა, გრიშა კალანდარიშვილი** (გურიის „ბოტვინიკს“უწოდებდნენ) **რეზო ჭყონია, შალვა შარაშიძე, ბორის გეგეჭკორი, უჩა ურუშაძე, ვაჟა და ანზორ ჭანუყვაძეები, კოტე გულუა, აკაკი შავიშვილი...** არაერთ მნიშვნელოვან რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირებს სვიდა ჟურნალისტი **თამაზ სალუქვაძე**. თამაზის შემდეგ დაგვაკლდა ოზურგეთის არაერთგზის ჩემპიონი **ამირან გოგუა,** ბოლოს გურიის ჭადრაკის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი, საუკეთესო მეგობარი და მოჭადრაკე **ომარ ბიჭიკაშვილი** გარდაიცვალა... ამიტომ გადავწყვიტეთ ყველა მათი ხსოვნის პატივსაცემად გამართულიყო ეს ტურნირი.

ტურნირში რეგიონის საუკეთესო მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ.

ოზურგეთელმა თორნიკე ხვედელიძემ და ლანჩხუთელმა ტარიელ ხუხუნაიშვილმა 8-8 ქულა დაგროვეს. დამატებით ბლიც-ტურნირში ხუხუნაიშვილმა გაიმარჯვა.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა III ადგილისათვის ბრძოლაში. ქაც ოზურგეთელმა დავით ცეცხლაძემ და ლანჩხუთელმა ნუგზარ გვარჯალაძემ 6,5-6,5 ქულა დაგროვეს. დამატებით ბლიც-ტურნირში გვარჯალაძემ გაიმარჯვა.

ტურნირის გამარჯვებულს და პრიზიორებს შესაბამისი დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

კვალი ნათელი



ზურაბ ხომერიკის სახელი, როგორც ალალმართალი, სპეტაკი სულის მქონე, თხემით ტერფამდე ჭეშმარტი ინტელიგენტისა, სამუდამოდ დაამახსოვრდება იმ კოლექტივს, ვის გვერდით მხარდამხარ, მუხლჩაუხრელად, ღირსეულად ეწეოდა მასწავლებლის მძიმე ჭაპანს.

პროფესიონალიზმი ბატონ ზურაბს ნებისმიერ საზოგადოებაში გამორჩეულსა და თვალსაჩინოს ხდიდა, ამას თან ერთვოდა ჰუმანიზმი, საუკეთესო პიროვნული თვისებები.

თუ თვალს გადავავლებთ ზურაბ ხომერიკის ცხოვრების გზას, დავრწმუნდებით, რომ იოლი გზებით არასდროს უვლია. 1963 წელს შრომის საჯარო სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ სამხედო სამსახური პირნათლად მოიხადა. 1967 წლიდან მუშაობდა სოფ.შრომის ჩაის ფაბრიკის მშენებლობაზე. 1972 წლიდან 1981 წლის სექტემბრამდე –შრომის საშუალო სკოლაში დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელად, ასევე ისტორიის მასწავლებლად. პარალელურად სწავლობდა პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, იყო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი. ფართო ერუდიციის მქონე ახალგაზრდა პედაგოგმა დაამთავრა მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ეკონომიკური ფაკულტეტი.

1981 წლიდან ზურაბ ხომერიკი მუშაობდა ოზურგეთის რაიკოოპკავშირში, ჯერ შრომის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო 1988 წლიდან 1993 წლის სექტემბრამდე რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ აღმზრდელობითი მუშაობის და კადრების დარგში.

1993-2011 წლებში ზურაბ ხომერიკი სოფელ შრომის საჯარო სკოლის დირექტორია. ის დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა პასუხისმგებლობით, დაუშურველად ზრუნავდა მოზარდთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის. მოსწავლეებსაც მთელი არსებით უყვარდათ მუდამ ხალისიანი, თბილი, ნიჭიერი, გულისხმიერი აღმზრდელი და არა მხოლოდ მათ! ის ხომ მასწავლებელთა მასწავლებელი იყო, მუდამ სიკეთის მთესველი და მქნელი.

მთელ სოფელს ესახელებოდა ზურაბ ხომერიკის ნამუსიანი სახელი. ის ხომ მისთვის ჭკუის დამრიგებელიც იყო და სუფრის გამორჩეული ტოლუბაშიც, მეგობართა წრეში კი, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, დიდი ავტორიტეტი.

ამ საწუთროდან მიდის ვალმოხდილი, კარგი მეოჯახე, შესანიშნავი მეუღლე, ორი ვაჟკაცის –ვასილისა და ზურაბის მამა, მოსიყვარულე ბაბუა. ბატონი ზურაბი გვჯერა მუდამ თავს შეგვახსენებს. მისეული ძლიერი მახვილი სიტყვით, მოგვენატრება მისი მოფერებაც და დაყვავებაც და, რაც მთავარია, ყოველთვის სამართლიანი შენიშვნები, მაინც მიმტევებელი, მეგობრული, მამაშვილური.

დასანანია, რომ აღარ იქნება, მაგრამ ყოველთვის დაგვაკლდება, სიამაყით გავიხსენებთ, იმიტომ რომ მასზე ავის თქმა არავის შეუძლია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

სოფ. შრომის საჯარო სკოლის პედკოლექტივი.

მეუღლე გულსუნდა; შვილები ვასილი, ზურაბი; რძალი ნანა ლომაძე; შვილიშვილები საბა, თორნიკე; ძმა მიხეილი; რძლები ნატალია ჩიჩილოვი, ნინო ჭედია; ძმისშვილები ეკატერინე, მაკა, სოფია იუწყებიან **ზურაბ ვასილის ძე ხომერიკის** გარდაცვალებას.

დაკრძალვა 6 ივნისს, სოფ. შრომაში (ხრიალეთი).

განათლებისა და მეცნიერების თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაცია იუწყება შრომის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის **ზურაბ ხომერიკის** გადრაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს შალვა თავდიშვილს მამის **ზურაბ თავდიშვილის** გარდაცვალების გამო

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ვასილ, ზურაბ ხომერიკებს მამის **ზურაბ ხომერიკის** გარდაცვალების გამო

სილაურის საჯარო სკოლის პედკოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი, პედაგოგი **ნაზი ქათამაძე** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი გილოცავთ 1 ივნისს –ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს. ჩვენი თეატრი მუდამ თქვენს სამსახურშია.



მაღაზია „დაზოგე ჯიბე“ ახალ მისამართზე გადავიდა. გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №1-ში მდებარე (ცაო ბანკის და რესტორან „ქალაქურის“ წინ) მაღაზიაში 1-დან 9 ლარამდე საჩუქრების დიდი არჩევანი.

გვეწვიეთ, კმაყოფილი დარჩებით!

ტურნირი მამუკა კილაძემ მოიგო

ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის –26 მაისისადმი მიძღვნილი ოზურგეთის ღია პირველობა ჩოგბურთში მოყვარულებს შორის, რომელშიც 18 წელს ზემოთ 12 ჩოგბურთელი მონაწილეობდა.

თავდაპირველად საკვალიფიკაციო შეხვედრები გაიმართა, საიდანაც შეირჩა 8 ჩოგბურთელი. მათ შორის შეხვედრები წრიული სისტემით ჩატარდა. ფინალში **მამუკა ასათიანი** და **მამუკა კილაძე** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. კილაძემ გაიმარჯვა (6:2,6:4). იგი სპეციალური დიპლომით და თასით დააჯილდოეს. შესაბამისი ჯილდო გადეცა II ადგილზე გასულ მამუკა ასათიანს.

კახა ვასაძე, გურიის ოლიმპიური კომიტეტის გამგეობის წევრი, ჩოგბურთის კურატორი:–მამუკა 2005 წლიდან მუშაობს მწვრთნელად. 6 წელია საჩოგბურთო სკოლის დირექტორია. არაერთ წარმატებას მიაღწია სხვადასხვა ტურნირზე. 2011 წელს ჯერ რაიონის ღია პირველობა მოიგო ჩოგბურთში, შემდეგ ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის მიერ დაწესებულ გურიის თასს დაეუფლა.

მისი მოსწავლეებიდან კარგი შედეგები აქვს ნათია ქარჩილაძეს. 2011 წელს ნათიამ ბათუმში საერთაშორისო ტურნირზე II ადგილი აიღო. იგი საუკეთესო დებიუტანტის პრიზით, ხოლო მამუკა საუკეთესო მწვრთნელის წოდებით დააჯილდოეს.

ამჟამად ოზურგეთის კორტებზე ვარჯიშობს 25 მოსწავლე და 18, 20 წელს ზემოთ ჩოგბურთელი.

„ენერგო პრო-ჯორჯიას“ ოზურგეთის ფილიალი გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! გისურვებთ მამულის სასახელო გოგო-ბიჭები გაზრდილიყოთ!

ვულოცავთ!

ჯემალ დობორჯგინიძეს შიო მღვიმელის პრემია მიენიჭა

საბავშვო ლექსები კრებულისათვის „ცისარტყელა“(გამოიცა 2012 წელს) პოეტ ჯემალ დობორჯგინიძეს საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით შიო მღვიმელის პრემია მიენიჭა.

„არწივებმა“ გაიმარჯვეს

30 მაისს, ზვანის სტადიონზე საქართველოს პირველობაზე რაგბიში „ა“ლიგის გუნდებს შორის,(18 წლამდე ასაკში) ერთმანეთს შეხვდნენ ოზურგეთის „არწივები“და პატარძლეულის „ვეფხვები.“შეხვედრა ოზურგეთელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და „არწივებმა“ 56:0 დაამარცხეს მეტოქე. ოზურგეთელტაგან გამორჩეულად ითამაშა ბორის ჯაბუამ, რომელმაც 3 ლელო დადო. ასევე კარგად ითამაშეს დავით ტრაპაიძემ, გოჩა კალანდაძემ, ლევან შათირიშვილმა, ზურა ჟორჟოლაძემ, ბორის გულბიანმა, ენვერ ჭკუასელმა.

„არწივებს“I ტურში ორი შეხვედრა აქვთ ჩასატარებელი: „ქუთაისი–2“-თან და გაგადებული შეხვედრა თბილისის აკადემიასთან. (იგი გადაიდო „აკადემიის“გამოუცხადებლობის გამო).

ამ გუნდებთან გამარჯვების შემთხვევაში „არწივები“I ტურში სამეულში მოხვდება.

ზვიად უნგიაძე,

ოზურგეთის რაგბის განვითარების კავშირის თავმჯდომარე.

სააქციო საზოგადოება „ტრანსსერვისი“ გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

ტაქსი გამოძახებით! მუდამ თქვენს სამსახურში!

დარეკეთ: 0 (496) 27 55 44; 0790 55 44 55;

ჩვენთან მომსახურების დაბალი ტარიფებია: ანასეული, ბოხვაური, სოფ. ოზურგეთი–3 ლარი; ასკანა–15 ლარი; ბახვი, ბაილეთი – 9 ლარი; გურიანთა, გაღმა დვაბზუ, წითელმთა – 4 ლარი; გოგიეთი, გომი, მერია, ნასაკირალი –8 ლარი; ნარუჯა, ცხემლისხიდი –6 ლარი; ვაკიჯვარი, ნაგომარი, ძიმითი –12 ლარი; თხინვალი, ლაითური –13 ლარი; კონჭკათი –15 ლარი; ლიხაური, მელექედური, შემოქმედი, ჭანიეთი –5 ლარი; ქაქუთი–7 ლარი; მაგნეტიტი – 23 ლარი; მთისპირი –17 ლარი; ნატანები – 16 ლარი; შრომა –20 ლარი; ციცინათელა–22ლარი; ქობულეთი, ჩოხატაური –20 ლარი; ქუთაისი – 60 ლარი; ბათუმი, ფოთი –35 ლარი; სარფი– 50 ლარი; ლანჩხუთი –30 ლარი; ურეკი –20 ლარი; თბილისი–170 ლარი.

გისურვებთ ბედნიერ და მშვიდობიან მგზავრობას!

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე